KA021709013994122

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:(+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N5/3601 25 / იანვარი / 2022 წ.

სსიპ - ქალაქ თბილისის N105 საჯარო სკოლას

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 21.01.2022წ. NMES 6 22 0000050264 წერილი, რომელშიც დასმულია საკითხი, ქონების, იჯარის ფორმით გაცემის შესახებ.

გაცნობებთ, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 27.12.2021წ. NMES 8 21 0001417034 წერილით წარმოდგენილი პოზიციის გათვალისწინებით, არ არის წინააღმდეგი, აუქციონის წესით იჯარით გაიცეს თქვენს წერილში მითითებული ქონება, იმ შემთხვევაში თუ ზემოაღნიშნული ქონება სსიპ - ქალაქ თბილისის N105 საჯარო სკოლას სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს კანონით დადგენილი წესით და იმ პირობით, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 2 (ორი) კვირის ვადაში გაუქმებული იქნება საიჯარო ხელშეკრულება, რაც უნდა წარმოადგენდეს სკოლის მიერ გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების აუცილებელ პირობას.

ამასთან, სარგებლობის საფასური უნდა განისაზღვროს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/სარეალიზაციო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო თანხის/საწყისი სარეალიზაციო საფასურის, სარგებლობაში გადაცემის საფასურისა და საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის №570 დადგენილებით დამტკიცებული წესის მოთხოვნების შესაბამისად.

ამ პირობათა დარღვევის (შეუსრულებლობის) შემთხვევაში სსიპ - ქალაქ თბილისის N105 საჯარო სკოლის მიერ დადებული იჯარის ხელშეკრულება განიხილება აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებულ გარიგებად.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საჯარო სექტორთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი

ნუგზარი წამალაშვილი